საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი** **მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ №34** **ტელ/ფაქსი (+995 222) 27 17 87** **ელ.ფოსტა: info@bsu.edu.ge**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**MA ლინგვისტიკა** **MA Linguistics**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**0232. ლინგვისტიკის მაგისტრი** **0232. Master of *Linguistics***
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	120 კრედიტი: 75 კრედიტი ეთმობა ძირითად სპეციალობას, 15 კრედიტი არჩევით დისციპლინებს. 30 კრედიტი - სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი).
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** ➢ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ➢ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით; ➢ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ენა B2 დონე და სპეციალობა; ➢ მობილობის წესით ჩარიცხვა.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს: - ქართველური ენათმეცნიერების (შედარებითი და შეპირისპირებითი), ქართველურ ენათა სტრუქტურის, ქართველური დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიის, ონომასიოლოგიის, ტექსტის ლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკის, ფუნქციური სტილისტიკის, მწერლის ენისა და სტილის კვლევის საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა. - სამეცნიერო კვლევისათვის დარგის თანამედროვე მეთოდების (მათ შორის ენობრივ მონაცემთა ციფრული დამუშავების) უპირატესობის გააზრება; ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების შესწავლის მნიშვნელობის გაცნობიერება; ენის კულტუროლოგიური ასპექტების ზოგადსაკაცობრიო კონტექსტში გააზრება, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ჰუმანიტარული სფეროს გამოწვევების შეფასება და საკითხისადმი ინტერდისციპლინური მიდგომა. - საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული წერის პრინციპების, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის ნორმების დაცვით სამეცნიერო კვლევის დაგეგმვა-წარმართვა; ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, დაცვის და ენობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნების პასუხისმგებლობა.
სწავლის შედეგები	სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრი **ავლენს** ქართველური ენათმეცნიერების ღრმა და სისტემურ ცოდნას; ფლობს ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების სტრუქტურა-ფუნქციონირების საკითხებს; იცის ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის, ქართველური დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის საკითხები; **აცნობიერებს** ლინგვისტური პრობლემების გადაჭრის გზებს. **იყენებს** ქართულის და/ან მასთან ერთად მეგრულის, ლაზურის, სვანურის სტრუქტურულ კომპონენტებს; სიღრმისეულად ფლობს საანალიზო მასალის შეგროვება-დამუშავების მეთოდებს. **ამჟღავნებს** ქართული

	ენობრივი მოვლენებისა და ფაქტების კვლევის, დამუშავებისა და ანალიზის უნარს. **ქმნის** გამართული სტრუქტურის, ლოგიკურად დასაბუთებულ, არსებითი აკადემიური სტანდარტების შესაბამის ორიგინალურ სამეცნიერო ნაშრომს; კვლევისას იყენებს უახლეს ლინგვისტურ მეთოდებსა და მიდგომებს, ითვალისწინებს თეორიულ დისკურსებს; **პატივს სცემს** ქართულს, როგორც სახელმწიფო ენასა და ქართველურ ენობრივ მრავალფეროვნებას, ტოლერანტულია ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ.
შეფასები წესი	ცალკეულ სასწავლო კურსში სტუდენტის საბოლოო შეფასება გამოიყვანება აკადემიური აქტივობის, რეიტინგული შეფასებისა და გამოცდის შედეგების ჯამით. საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით: A,B, C, D, E, FX, F. A – ფრიადი 91-100 ქულა; B – ძალიანკარგი 81-90 ქულა; C – კარგი 71-80 ქულა; D– დამაკმაყოფილებელი 61-70 ქულა; E – საკმარისი 51-60 ქულა; FX – ვერ ჩააბარა 41-50 ქულა. სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; F – ჩაიჭრა 0-40 ქულა. სტუდენტს საგანი თავიდან აქვს გასავლელი.
საკონტაქტო პირ(ებ)ი	პროგრამის ხელმძღვანელები: **პროფესორი მამია ფაღავა:** 599 38 06 26; mamia.phagava@bsu.edu.ge **პროფესორი მაია ბარამიძე:** 577 46 98 85; maia.baramidze@bsu.edu.ge **ასოცირებული პროფესორი თემურ ავალიანი:** 599 940-311; 595 506-422; temur.avaliani@bsu.edu.ge